ცხოვრობს მშრომელ

იღიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჭლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა


გამოცემის მე-10 წელი

№ 15 (152)

აგვისტო, 1965 წელი



ტკბილია დედა-ენა —ენა ჩვენი ქართული.



რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მარტენის საამქროში.

მურმან ლებანიძე

ჭრელი ზაფხული ზურგს უკან დარჩა

ჭრელი ზაფხული
ზურგს უკან დარჩა,
მინდვრების სტავრა,
ტყეების ფარჩა,
ლურჯი სვანეთი,
ცისფერი რაჭა,
ლხენა, გართობა,
სიმღერა, გარჯა —
ჭრელი ზაფხული
ზურგს უკან დარჩა.

და ჰა, ხვალ თუ ზეგ
დარეკენ ზარებს,
მშობელი სკოლა
გაგვიღებს კარებს,
ტკბილს მოგვაგებებს
წვრთნასა და ალერსს,
უკვდავ სინათლეს
და უკვდავ გზკარებს...
და, ჰა, ხვალ თუ ზეგ
დარეკენ ზარებს.

და წარვლენ ასე
დღეები სწავლის,
თამაშს, გართობას
გაუვა ყავლი,
და ღირსი შრომის,
და ღირსი ავლის,
კვლავ აინთება
მწვერვალი მძლავრი...
და წარვლენ ასე
დღეები სწავლის.

მაგრამ დროდადრო
დოლით და გუკით,
გზებით, ლაშქრობით,
ზურგჩანთით, რუკით,
ულრან ტევრებით,
ფიფლით და მუხით,
პაწია კორდზე
სოფლით და შუკით,
ტკბილი ზაფხულის
იელვებს შუქი...

და გაგვახსენებს
მშობლიურ გორებს:
ჭალაში — წისქვილს,
წისქვილთან — მორევს,
მორევთან — ველახს
ველახთან — ყორეს,
ყორესთან — მაყვალს.
მაყვალთან — სწორებს...
და გაგვახსენებს
მშობლიურ გორებს.

ჭრელი ზაფხული
ზურგს უკან დარჩა,
მინდვრების სტავრა,
ტყეების ფარჩა,
ლურჯი სვანეთი,
ცისფერი რაჭა,
ლხენა, გართობა,
სიმღერა, გარჯა —
ტკბილი ზაფხული
ზურგს უკან დარჩა...

ეს გაუმარჯოს
გაშვიობის დღეებს,
ჯეპლის ფრთასავით
ჭრელსა და ზლაპრულს,
და მასთან ერთად
და ასჯერ მეტად —
ტკბილ საქართველოს
ზამთარს და ზაფხულს!

ახალი ინტერნატები

მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება რესპუბლიკის 70 სკოლა-ინტერნატში. პირველად გაიღება კარი ყაზბეგისა და ლენტეხის რაიონების ახალ სკოლა-ინტერნატებში. ძნელად აღსაზრდელი ბავშვების სპეციალური სკოლა-ინტერნატი შეიქმნა სამტრედიაში. კაპიტალურად გაარემონტეს ბეთანიის. ტაშისკარისა და წალენჯიხის სანატორული ტიპის სკოლა-ინტერნატები.

თბილისის სკოლა-ინტერნატში ფიზიკა-მათემატიკის განხრით 140 ადგილზე 1.240 განცხადება მოვიდა. სპეციალურმა კომისიამ შეარჩია ყველაზე ნაჭიერი ბავშვები. აქ ბავშვები ისწავლიან განსაკუთრებით გართულებული პროგრამით, რომელიც გათვალისწინებულია აბიტურიენტთა მოსამზადებლად მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებისათვის.

350 ბავშვს მიიღებს გლდანის რესპუბლიკური სასპორტო სკოლა-ინტერნატი. ამ ინტერნატში სპორტის წამყვანი სახეობანია მძლეოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი და გოლორბოლა. ბავშვებს ასწავლიან გამოცდილი სპეციალისტები, რესპუბლიკის ცნობილი სპორტსმენები.

ჩვენი სკოლა-ინტერნატების მოსწავლეები, უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების სამმართველოს უფროსმა ვ. ი. ჩინჩალაძემ, წელს სწავლას შეუდგებიან შავი ზღვის სანაპიროზე და საგარეუბნო კურორტებში მანგლისში, კოჯორსა და წყნეთში პიონერულ ბანაკებსა და სანატორიუმებში დასვენების შემდეგ.

ისწავლიან მუშები, კოლმეურნეები

პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში იხსნება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ოცამდე ახალი საშუალო სკოლა. ამრიგად, მათი საერთო რიცხვი ოთხასს მიაღწევს. სკოლის შენობები აიგო ტყუარჩელელი მეშახტეებისათვის, ჭიათურელი მაღაროელებისათვის, ზესტაფონელ ფეროშენობელთათვის, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისათვის.

ახალ სასწავლო წელს საქართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ისწავლის 58 ათასი კაცი. ეს ოთხიათასით მეტია, ვიდრე შარშან იყო.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს უფროსს **რ. ს. კანდელაკს** ეამბნა, თუ რა სიახლეა რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების მოწყობის საქმეში.

— დიდ საწარმოებთან, — თქვა მან, — შექმნილია ცვლებიანი სკოლები. სკოლებში სწავლა მიმდინარეობს დილით, შუადღეზე და საღამოთი იმის შესაბამისად, თუ რომელ ცვლაში მუშაობენ მოსწავლეები. იმათთვის, ვისაც წარმოების ხასიათის გამო არ შეუძლია რეგულარულად დაესწროს მეცადინეობას, გახსნილია დაუსწრებელი სკოლები. ასეთი სკოლები არის თბილისში, ჭუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, თელავში, ფოთსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

ორმოც სკოლაში სწავლა წარმოებს სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები უზრუნველყოფილია საკუთარი სასწავლო პროგრამებით. გამოშვებულია 20-მდე დასახელების სახელმძღვანელო საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისათვის. საქართველოს 60 სკოლაში, რომლებსაც საკუთარი შენობები აქვთ, არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის კაბინეტები.

ახალ სასწავლო წელს ფართოდ დავნერგავთ საუკეთესო სკოლების მოწინავე გამოცდილებას. მაგალითად, საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ქალაქ რუსთავის მუშა-ახალგაზრდობის მე-2 ცვლიანი სკოლის მუშაობა. იგი გამოცხადებულია საყრდენ სკოლად რუსთავისა და გარდაბნის რაიონის ყველა საღამოს სკოლისათვის.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რუსთავის სკოლა დაამთავრა 1.500-მდე კაცმა. ბევრი მისი კურსდამთავრებული ინჟინერი, წარმოების ნოვატორი, თვალსაჩინო სპეციალისტია. მათ შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები ა. ძამაშვილი, ვ. კობერიძე, ა. ფანცულაია.

საგულისხმოა, რომ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში არ არის პირველი-მეოთხე კლასები, ხოლო მეხუთე და მეექვსე კლასები გათვალისწინებულია ერთეულთათვის, რადგან ახალგაზრდობა ძირითადად შედის მეშვიდე-მერვე კლასებში. ეს მოწმობს, რომ შემსვლელთა უმრავლესობას უკვე შვიდწლიანი განათლება აქვს.

გათვალისწინებულია, რომ ახალი ხუთწლედის დამლევისათვის საქართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი გადააჭარბებს 67 ათას კაცს.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა-ახალგაზრდობის სწავლებისათვის ამდენი სკოლის შექმნა, — თქვა დასასრულ რ. ს. კანდელაკმა, — უკვე უახლოეს წლებში შესაძლებლობას მოგვცემს რესპუბლიკის მთელ მუშა და სოფლის ახალგაზრდობას მივცეთ საშუალო განათლება.

დღეს საქართველოს ჯებეჭი

შენდება, მშენდება

უოველდღე სულ უფრო ლამაზდე ბა საქართველოს დედაქალაქი. ქალაქის უოველ რაიონში ახალშენე ბანია, სულ უფრო მაღლა იწევს ახალ შენობათა სართულები.

კინოს სახლი

მოსკოვის ჭუჩაზე შენდება კინოს სახლი. მის პირველ სართულზე იქნება ვრცელი ვესტიბიული, ბარ-კაფე, ჰოლი. ვესტიბიულის კედლები მოპირკეთდება თეთრი ეკლარის ქვით.

მეორე სართული დათმობა მაყურებელთა დარბაზს, რომელშიც იქნება **650** ადგილი და ფართოფორმატიანი ეკრანი. მაყურებელთა დიდი დარბაზის მეზობლად, სადაც კიდული ჭერი და შიდა განათება იქნება, გაიხსნება საგამოფენო პავილიონები, 200-ადგილიანი პატარა დარბაზი, ბიბლიოთეკა, კონფერენც-დარბაზი და სხვა სათავსები.

თბილისის კინოს სახლი გაფორმდება ფერწერისა და ჰედური ნაწარმოებებით, მხატვრული ვიტრაჟებით. კინოს სახლი ქართველი კინემატოგრაფისტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების შეხვედრის ადგილი იქნება.

ახალი მისამართით

სანაპიროზე, ჩელუსკინელთა სახელობის ხიდის გვერდით აშენდა ლამაზი ცხრასართულიანი შენობა. ეს არის ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალი კორპუსი. ინსტიტუტის მრავალ ლაბორატორიაში განლაგდება სრულყოფილი ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები, უახლესი ხელსაწყოები, რომლებიც მეცნიერებს საშუალებას მისცემენ მეტეოროლოგიური ინფორმაცია მიიღონ სხვადასხვა ქვეყნიდან.

ინსტიტუტის თანამშრომლები სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ექსპერიმენტულ მუშაობას აწარმოებენ ღრუბელთა ფიზიკის ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენათა შესწავლის დარგში, აგრეთვე შეისწავლიან ამინდის გავლენას მცენარეთა ზრდაზე.

მეტრომშენებლებთან

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლები შეუდგნენ უკანასკნელი **500** მეტრი გვირაბის გაყვანას მიწისქვეშა მაგისტრალის პირველი რიგის მეორე უბანში. ეს გვირაბი „რუსთაველის მოედნის“ სადგურს დაუკავშირებს „ლენინის მოედნისა“ და „26 კომისრის“ სადგურებს. „ლენინის მოედან“-„26 კომისრის“ გადასარბენი გვირაბის ტრასაზე მეტრომშენებლები ჩვენს ქვეყანაში პირველნი იყენებენ მექანიზებულ ფარს „105-ტ“. ეს მანქანა დამზადებულია „მეტრომშენის“ № 5 მოსკოვის მექანიკურ ქარხანაში. მანქანას ერთსა და იმავე დროს გაჰყავს გვირაბი და აბეტონებს მას. ფარის შემდეგ დგამენ ლითონის ყალიბს, რომელშიც ისხმება ბეტონი, შემდეგ კი ფარის რგოლები წნეხავენ მას. ამის შედეგად ბეტონი მკვრივ მასად ეფინება. ყალიბის მოხსნის შემდეგ მომეტონებული გვირაბის ზედაპირი სუფთა და გლუვია. ყოველივე ეს წარმოებს ხელის შრომის გამოუყენებლად.

გვირაბგაყვანის ახალ მეთოდს იყენებენ მეტრომშენებლები „ლენინის მოედან“ — „რუსთაველის მოედნის“ გადასარბენ მონაკვეთზეც. აქ მუშაობს „თბილისგვირაბმშენის“ ტექნიკური განუოფილების უფროსის ნ. ჩაჩხიანის კონსტრუქციის ელექტროსაბურღი მანქანებით აღჭურვილი თვითმავალი აგრეგატი.

რესპუბლიკის დედაქალაქის მეტრომშენებელთა წინაშე დიდი ამოცანაა დასახული: მათ წლის დამლევამდე უნდა გადასცენ საექსპლოატაციოდ პირველი რიგის სამი უკანასკნელი სადგური: „ლენინის მოედნის“, „26 კომისრისა“ და „300 არაგველის“ სადგურები. მეტრომშენებლები ნაცის ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებენ, რადგანაც წარმატებით ნერგავენ ახალ, მოწინავე ტექნიკას.

დამპროექტებლებისათვის

ვაკის პარკის გვერდით შენდება საქართველოს სახელმწიფო ხელსაწყოთაშენებელი ინსტიტუტისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის შენობები. პირველი ინსტიტუტი 10-სართულიანი იქნება, მეორე კი 6-სართულიანი. შენობები ერთმანეთს დაუკავშირდება დიდი ვესტიბიულით. მათ შუა, მიწისქვეშ, ეწყობა ავტომგასაჩერებელი 270 მანქანისათვის.

რესპუბლიკის საჰაერო ტრასებზე

გვესაუბრება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ზ. სამადალაშვილი

ჩვენი ქვეყნის ავიატორებთან ერთად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს ღირსეულად შეხვდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავთა და ტექნიკოსთა შემადგენლობა.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტმა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ი. ზ. სამადალაშვილს მისცა რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც შეეხება საქართველოს ავიატორთა მუშაობის შედეგებსა და მომავალ ამოცანებს.

კითხვა: რა მაჩვენებლებით შეხვდა საქართველოს ავიატორთა კოლექტივი მომავალ საჰაერო ფლოტის დღეს?

პასუხი: 1965 წელს ჩვენი სამმართველოს კოლექტივმა ოთხჯერ მოიპოვა საკავშირო პრემიები, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე პირველი ფულადი პრემია.

საქართველოს ავიატორებმა წარმატებით შეასრულეს შვიდწლედის გეგმა. ამ ხნის მანძილზე მათ გადაიყვანეს 3,6 მილიონი მგზავრი, თვითმფრინავების საშუალებით დაძუშავებულია 2,2 მილიონი ჰექტარი მიწა საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანში.

ჩვენი სამმართველოს პირადმა შემადგენლობამ კარგ მაჩვენებლებს მიაღწია მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც. მგზავრ-ბრუნვის გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით, მგზავრების გაგზავნისა — 113,8 პროცენტით, რენტაბელობისა — 113 პროცენტით. ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების საქმეში მოწინავეთა რიგებში დგანან თბილისის და ბათუმის აეროპორტების კოლექტივები.

კითხვა: რომელი ახალი საავიაციო ხაზები უნდა აითვისონ საქართველოს მფრინავებმა ახალ ხუთწლედში?

პასუხი: ჩვენმა თვითმფრინავებმა უკვე დაიწყეს მიმოსვლა ახალი ავიახაზებით. სოხუმიდან გადის საჰაერო ტრასები ლენინგრადში, კრასნოდარში, ერევანსა და ჩვენი ქვეყნის სხვა პუნქტებში. 15 ივლისიდან ჩვენი სამმართველოს საჰაერო ტრასების რუკაზე გაჩნდა ახალი ხაზი — თბილისი-სიმფეროპოლი. ამ ხაზით კვირაში სამჯერ დადის ტურბორეაქტიული ლაინერი „ტუ-104“. 1 ივლისიდან ახლადგახსნილ ტრასებზე თბილისი-ადლერი და თბილისი-ვოლგოგრადი რეგულარული მიმოსვლა დაიწყო „ტუ-124“ თვითმფრინავებმა. მავრამ ეს როდია ჩვენი ძუშაობის ზღვარი. ახალი ხუთწლედის წლებში ავიახაზების ქსელს შეემატება ისეთი საჰაერო ტრასები, როგორიც არის თბილისი-მინსკი, თბილისი-გორკი, სოხუმი-დონეცკი, სოხუმი-სარატოვი, სოხუმი-რიგა და სხვები.

კითხვა: მოსალოდნელია თუ არა რაიმე ცვლილებანი რესპუბლიკას თვითმფრინავების პარკის სტრუქტურაში? ნავარაუდევია თუ არა საექსპლოატაციოდ გადაეცეს ახალი სახეობის თვითმფრინავები და ვერტმფრინავები?

პასუხი: რასაკვირველია. ავიაგადაზიდვის მოცულობის გადიდებას, უეჭველია ახლავს ცვლილებანი საავიაციო ტექნიკაშიც. თბილისი-როსტოვი, თბილისი-დონეცკის ტრასაზე „ილ-14“ ნაცვლად უკვე დადის 56-ადგილიანი რეაქტიული თვითმფრინავი „ტუ-124“. უახლოეს წლებში რესპუბლიკის საჰაერო მაგისტრალებზე გაჩნდება ახალი თვითმფრინავები — 72-ადგილიანი „ტუ-134“ და 50-ადგილიანი „ან-24“.


მომსვლას დაიწყებენ აგრეთვე ახალი ტიპის ვერტმფრინავები „ვ-8“ და „ვ-2“. ისინი აღჭურვილი არიან გაზტურბინიანი ძრავებით და შეუძლიათ გადაიყვანონ გაცილებით მეტი მგზავრი, ვიდრე მათ წინამორბედებს „მი-1“ და „მი-4“ ვერტმფრინავებს გადაჰყავდათ. მოვიყვან ასეთ შედარებას: „მი-4“ ვერტმფრინავს შეუძლია გადაიყვანოს 12 მგზავრი, ხოლო „ვ-8“ ვერტმფრინავს — 24 მგზავრი.

კითხვა: რა ღონისძიებანია გათვალისწინებული მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გადაყვანის კულტურის ამაღლებისათვის?

პასუხი: ეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ დარგში ბევრი რამ უკვე გაკეთდა. მაგალითად, მნიშვნელოვნად გამარტივდა მგზავრთა რეგისტრაციის წესი აეროვოგზლებში. სასტუმროებსა და თბილისის რკინიგზის ვოგზალში იყიდება თვითმფრინავის ბილეთები. მალე ასეთი სალარო გაიხსნება ნავთლუღის ავტოვაგზალში.

მომავალ წელს თბილისის აეროპორტში დაიწყება სამგზავრო პავილიონის მშენებლობა, რომლის გამტარუნარიანობა იქნება 700 მგზავრი საათში. ახალი სასტუმროები და პავილიონები აშენდება აგრეთვე ქუთაისის, სოხუმისა და ზოგიერთ სხვა აეროპორტში.

სურათზე: თბილისი, აეროვოგზალი, სტარტის ასაღებად ემზადება ლაინერი „ტუ-104“.





ჩემს მოყვარე მოყვრისათვის...

ვეფხისტყაოსნით ასახული სიყვარულის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა მეგობრული თანაგრძნობისა და ძმური თავგამოდების გარეშე. ძმურ-მეგობრული თავგამოდების კაცთმოყვრული იდეა რუსთველს გადმოცემული აქვს ერთი თავისი უბრწყინვალესი აფორიზმით (703,1-2):

ჩემს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.

რუსთველის მოძღვრების თანახმად (854,2) „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ძმობა-მეგობრობა თავისდათავად გულისხმობს ყოველივე პირადულისა და საკუთარის უარყოფას, პირადულისა და საკუთარის მსხვერპლად მიტანას მოყვრის (მეგობრის, ძმობილის, ძმადნაფიცის) საკეთილდღეოდ. ძმობა-მეგობრობის, ძმადნაფიცობის საფუძველს ქმნის და რაინდული თავგამოდების სტიმულს იძლევა მხოლოდ გაჭირვების ვითარებაში შედუღაბებული თანამეგობრობა (773,4):

ოდეს კაცსა დავჭიროს,
მაშინ უნდა ძმა და თვისი.

ასეთი იყო ტარიელისა და ავთანდილის ძმობა-მეგობრობა. ასეთი იყო ძმობა-მეგობრობა ტარიელისა და ფრიდონისა. რუსთველური პოეტური ძალით არის გამოძერწილი მესამე ძმადნაფიცის, ფრიდონის შესანიშნავი მხატვრული სახეც. ვეფხისტყაოსნით გამოხატული ძმობა-მეგობრობა უწინარეს ყოვლისა სიყვარულის გამარჯვების საქმეს ემსახურება. სიყვარული აძლიერებს და ამძაფრებს ძმობა-მეგობრობის გრძნობას. ავთანდილის საარაკო ძმური თავგამოდება ტარიელისათვის იმანაც შეაპირობა, რომ ავთანდილიც იდაგებოდა სიყვარულის ცეცხლით. ტარიელთან პირველი შეხვედრის დროს პირველ კითხვაზე „ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული“ (284,3) ავთანდილი გაუტყდა მაშინ მისთვის უცხო მოყმეს (285,3-4):

მე ვარ არაბი, არაბეთს
არს ჩემი დარბაზებია,
მიჯნურობითა დამწვარვარ,
ცეცხლი უშრეტი მგზნებია.



რუსთაველის ძეგლი ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში.

დიდი ძმური დახმარება აღმოუჩინა ფრიდონს მიჯნურობისაგან გათანგულმა და ველად გაჭრილმა ტარიელმა. სატრფოს დაკარგვით გულმოკლული და მძიმე სულიერი დეპრესიის ვითარებაში მყოფი რაინდი გამოაფხიზლა და სამოქმედოდ განაწყო თანამოძმის ძლიერმა განსაცდელმა და სოციალურმა უსამართლობამ. ტარიელმა ფრიდონს თავისი ტრაგიკული თავგადასავალიც უამბო, რადგანაც იგი ამხანაგად შეიგულა. რა თქმა უნდა, არც ფრიდონი დარჩენილა მოვალე. ფრიდონმა დიდი მსხვერპლი გაიღო ნესტანის დასახსნელად.

სიყვარულისა და ძმადნაფიცობის გრძნობით შეკავშირებულ მოყმე-რაინდებს არასოდეს ივიწყებდათ თავიანთი წმიდა მოვალეობა საზოგადოებისა, სამშობლოსა და სახელმწიფოს წინაშე. რუსთველი ერთმანეთისაგან არ თიშავს პირადულსა და საზოგადოებრივს. მათ ათანხმებს და ჰარმონიულად აგუებს. საჭირო შემთხვევაში საზოგადოებრივს უქვემდებარებს პირადულს.

ვეფხისტყაოსნის სიდიადე ისიცაა, რომ აქ ასახული ძმობა-მეგობრობა ამ გრძნობის მატარებელ პერსონაჟთა ინდივიდუალური ურთიერთობის ფარგლებით არ იზღუდება. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ძმობა-მეგობრობა ბუნებრივად გადაიზარდა **ხალხთა მეგობრობაში.** ტარიელი იყო **ინდოელი,** ავთანდილი — **რაბი,** ფრიდონი — **მულღაზანზარელი** (გაურკვეველი, მხატვრულად წარმოსახული ეროვნების წარმომადგენელი). ახალგაზრდა ტარიელის ხასიათი ინდოეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების სამსახურში ჩამოყალიბდა. ავთანდილის მთავარ საზრუნავს არაბეთის კეთილდღეობა შეადგენდა. მხურვალედ უყვარდა თავისი პატარა, მაგრამ ტურფა ქვეყანა ფრიდონს. ტარიელი გამოხატავდა ინდოელი ხალხის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. ავთანდილი არაბ ხალხს ასახიერებს, ფრიდონი—მულღაზანზარელთ. პოემის გმირების პირადულ-ინდივიდუალური ხასიათი იმავდროულად ზოგად-ადამიანურ, ზოგად ეროვნულ-სოციალურ ელფერს ატარებს. მიუხედავად სხვადასხვა ეროვნულ-ტომობრივი წარმოშობისა და ინდივიდუალობისა, ვეფხისტყაოსნის გმირებს ერთგვარად უცემდათ გული, მათ ერთგვარად ამოქმედებდათ კეთილშობილური ადამიანური მიზნები, ერთგვარი გულმოდგინებით ემსახურებოდნენ ისინი საქვეყნო საქმეს, ერთგვარი თავგანწირულობით იბრძოდნენ სამართლიანობისთვის.

რუსთველის პერსონაჟები ბუნებრივად ითავსებენ პირადულ-ინდივიდუალურსა და ზოგად-კაცობრიულ, ზოგად-ადამიანურ თვისებებს. რუსთველი ბევრჯერ მიგვანიშნებს, რომ უცხოობა, უცხოური წარმოშობილობა ხელს არ უშლიდა მის საყვარელ გმირებს დაახლოებისა და დაძმობილების ფართო სარბიელზე.

ძმადნაფიცობის ნიადაგზე შეკავშირებულმა სახელოვანმა რაინდებმა გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება, შემუსრეს ბოროტი ძალები, აღადგინეს სამართლიანობა, ნესტანს დაუბრუნეს თავისუფლება, დამპყრობელთაგან გაწმინდეს ინდოეთი, ფრიდონს დაუმკვიდრეს მისი მამული. ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცები ერთსულოვნად მოქმედებდნენ არა მარტო განსაცდელისა და ომების დროს. საბოლოო გამარჯვების შემდეგაც არ შეუსუსტებიათ მათ ძველი კავშირი. მშვიდობიანობის პერიოდში ამტკიცებდნენ და აძაგრებდნენ ომიანობისა და განსაცდელის ჟამში ჩაყრილი ძმობა-მეგობრობის ურყევ საფუძვლებს. ძმადაფიცები კეთილმეზობლურად განაგრძობდნენ საერთო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჭაპანის ზიდვას. ასეთ ვითარებაში მათ ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვეს, გაძლიერდნენ, „გამორჭმულდნენ“, თავი დაიხსნეს ხიფათისაგან და საშინაო წესრიგი დაამყარეს (1663):

ძალ ყამთაგე ხელმწიფეთა
ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ჰნახვიდიან,
საწადელი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი
მათთა ხრმალთა დავეწყლულდეს,
მოიმატეს სამეფონი,
გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს.

თანამედროვეობა აღტაცებაში მოჰყავს ძმობა-მეგობრობის იმ შთამბეჭდავ სურათებს, რაც ასე ცხოვლად დაგვიხატა შოთა რუსთველმა მე-12 საუკუნეში. შოთა რუსთველის პოეზია პირდაპირ ეხმაურება ჩვენ დროინდელობას, ამიტომაც ასე მახლობელია და გასაგები ეს პოეზია საბჭოთა ხალხისათვის.

ვეფხისტყაოსანი მკაფიოდ ასახავს მე-11—12 საუკუნეების ქართული სოციალური ცხოვრების იმ ნიშანდობლივ ინსტიტუტს, რომელსაც **პატრონყმობა** ეწოდება. პოეტი გადაჭრით გმობს ფეოდალურ გათიშულობას და განკერძოებას, იგი ავითარებს გაერთიანებული, შემჭიდროებული, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობისა და ერთმეფობის პრინციპებს. ინდოეთის მაგალითზე რუსთველი გვიჩვენებს ამ პრინციპების ცხოველმყოფელობას. ადრე ინდოეთი დაყოფილი იყო შვიდ სამეფოდ: ექვს სამეფოს ფლობდა ფარსადანი, მეშვიდე კი ეკუთვნოდა ტარიელის მამას, სარიდანს, ტარიელი მოგვითხრობს (312,1-2):

მამაჩემი ჯდა მეშვიდედ,
მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად,
მტერთა სრვად დაუფარავი.

მეფე სარიდანმა სრული ნებაყოფლობით უარი თქვა დამოუკიდებლობაზე და იგი **შეეწყნარა,** შეეკედლა მეფე ფარსადანს, ინდოეთის დიდი ნაწი-

ლის მფლობელს. ფარსადანმა სიხარულით მიიღო სარიდანი, მფარველობა და პატრონობა გაუწია, საუკეთესო მამული („საკარგავი") უბოძა სარჩოდ და სპატიო თანამდებობაზე დანიშნა, ვაზირად („ამირბარად") განამწესა. სარიდანის გონივრული ნაბიჯის შედეგად ინდოეთი მთლიანად გაერთიანდა, გაფართოვდა. გაძლიერდა. ინდოეთის მთელ მიწა-წყალზე განმტკიცდა ერთმეფობა, შეიქმნა ინდოეთის ერთიანი, ცენტრალიზებული, სუვერენული ფეოდალური სახელმწიფო. ერთმეფობა და მმართველობის ცენტრალიზებული სისტემა შუასაუკუნეების ფეოდალური ანარქიის ვითარებაში პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. რუსთველი შესტრფის გაერთიანებულ, ძლევამოსილ სამშობლო ქვეყანას. ვეფხისტყაოსანს თავიდან ბოლომდის მსჭვალავს პატრიოტული სულისკვეთება. სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსათვის თავის გამოდება რუსთველის იდეალიზებული გმირების წმიდათა-წმიდა მოვალეობას შეადგენდა. საკმარისი იქნება, თუ მოვიგონებთ ქაჯეთით წარმოგზავნილი ნესტანის მდუღარე ცრემლებით დანამული ჯერილის სიტყვებს:

წადი, ინდოეთს მიამართე,
არვე არ ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა,
ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა.

რუსთველი მკითხველს უნერგავს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და მტრების უზომო სიძულვილის საშვილიშვილო მცნებას.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ვეფხისტყაოსნის ფინალი. პოემის ტოლუპოვარმა რაინდებმა თავიანთი ქვეყნები რომ საგარეო ხიფათისაგან იხსნეს და საშინაო მყუდროება დაამყარეს, მათ სამფლობელოებში აღმოფხვრეს ყოველგვარი ძალადობა და უსამართლობა, ბოლო მოუღეს ადამიანთა ჩაგვრასა და ყვლეფას. ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ქვეყნებში თითქო პრაქტიკულად მოისპო ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმა, თითქო ხორცი შეისხა სრული თავისუფლებისა და სოციალურ-ქონებრივი თანასწორობის იდეალებმა (1664):

ყოვლთა სწორად წყალობასა
ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს
და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა ქმნელნი დააშინნეს
კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

ამ პოეტურ-ფანტასტიკური აპოთეოზით რუსთველი ხატავს ადამიანთა სოციალური თავისუფლებისა და კეთილდღეობის უტოპიურ სურათს. რასაკვირველია, სურათი უაღრესად ზღაპრულია. ოღონდ სურათის ეს ზღაპრულობაც იმას ამტკიცებს, რომ დიდებულ პოეტს არ აკმაყოფილებდა მისდროინდელი საზოგადოებრივი წყობილება, იგი უკეთეს მერმისზე ოცნებობდა. რუსთველს საოცნებოდ ეხატებოდა ისეთი დრო, როდესაც მოისპობოდა ერთი ადამიანის ბატონობა მეორე ადამიანზე, როდესაც ყველა თავისუფლად იგრძნობდა თავს, ყველა თანაბრად ისარგებლებდა ბუნების მთელი სიკეთით, ყველა ბედნიერად იცხოვრებდა ამ ქვეყანაზე. რუსთველის მიერ დახატულ ამ საოცნებო სურათს ნათლად აღუბეჭდავს ჰუმანისტი პოეტის ნაფიქრ-ნააზრევის ჰეშმარიტად საოცარი სიღრმე და სიბრძნე.

ალ. ბარამიძე.





საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე მუშაობს „ვეფხისტყაოსნის" ახალ ილუსტრაციებზე. გთავაზობთ მის ორ ნამუშევარს, რომლებზეც ასახულია ნესტანი.

ეძღვნება რუსთაველს

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" გამოცემათა ბიბლიოგრაფიული საძიებელი, რომელშიც მოცემულია პოემის ყველა გამოცემის სრული და ზუსტი აღწერილობა.

ბიბლიოგრაფიული საძიებელი შედგება ხუთი ნაწილისაგან: „ვეფხისტყაოსნის" ქართული გამოცემები, თარგმანები რუსულ ენაზე, თარგმანები სსრ კავშირის ხალხთან ენებზე, თარგმანები უცხო ენებზე და ცალკეული ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ თარგმანებზე. პირველ და მეორე ნაწილებში, გარდა ძირითადისა, მოცემულია აგრეთვე გადამუშავებულ და შემოკლებულ გამოცემათა აღწერილობანი.

საძიებელი შეადგინეს მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგემ თ. დონდუამ, უფროსმა ბიბლიოთეკარმა გ. რამიშვილმა, რედაქტორმა — მთავარმა ბიბლიოთეკარმა თ. მაჭავარიანმა.

გამოცემულია აგრეთვე შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლიტერატურის სარეკომენდაციო ნუსხა (შეადგინა მთავარმა ბიბლიოგრაფმა ნ. ლაიშვილმა). საძიებლის თორმეტ ნაწილში მოყვანილია მასალები პოეტის ბიოგრაფიის, ქართველ მეცნიერთა პალესტინის ექსპედიციის, პოეტის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის, პოემის ტექსტის დადგენისა და გამოცემის, მისი ენის, „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერების, თარგმანების შესახებ. ცალკეული ნაწილები ეძღვნება რუსთაველის ადგილს ხელოვნებასა და მხატვრულ ლიტერატურაში, აგრეთვე ხალხურ შემოქმედებაში.



ქალაქ ქუთაისის ერთ-ერთი კუთხე.

ამიერკავკასიაში პირველი

სულ ცოტა ხნის წინათ ამუშავდა თბილისის უჭსოვი საფეიქრო მასალებისა და ნაწარმის ფაბრიკა. მის პროდუქციაზე კი მოთხოვნა უკვე დიდია. ასეთი სპეციალიზებული საწარმოები საბჭოთა კავშირში მხოლოდ ოთხია, თბილისის საწარმო კი ერთადერთია ამიერკავკასიაში.

უჭსოვი მასალები გამოირჩევიან დიდი ეკონომიურობით. მზადდება საფეიქრო მრეწველობის ნარჩენებისაგან. ასეთი ნარჩენები მარტო თბილისის კამვოლ-მაუდისა და სართავსატრიკოტაჟო კომბინატებში წლების განმავლობაში ასობით ტონა დაგროვდა, ფაბრიკის არსებობის წლინახევრის მანძილზე გადამუშავებულია ათას ტონაზე მეტი ნარჩენი, სახელმწიფომ მილიონობით მანეთი მოგება მიიღო.

საჭსოვი წარმოებისათვის დამახასიათებელია მრავალი ტექნოლოგიური გადასვლა. უჭსოვი მასალების დამზადების დროს გადასვლების რიცხვი მინიმუმამდე მცირდება. ამასთან მკვეთრად კლებულობს ელექტროენერგიის, სათბობის ხარჯები. უჭსოვი მასალებისაგან დამზადებული ნაწარმი პრაქტიკული და იაფია.

ფაბრიკა უშვებს სხვადასხვა პროდუქციას. ჩინებული გამოდგა უჭსოვი მასალა, რომელიც სოფლის მეურნეობის შეკვეთით დამზადდა. იგი ნარგავებს უფრო საიმედოდ იცავს, ვიდრე ოთხკეცა მარლა. ამასთან უჭსოვი მასალა, რომელიც ერთიორად იაფა ჯდება, შეიძლება გამოვიყენოთ რამდენჯერმე, მარლა კი მეორე სეზონშივე ფუჭდება.

ზოგიერთი მასალისაგან ამზადებენ სასარჩულე ვატელინს, ჯემპერებს, ქაქეტებს, შარფებსა და სხვა ნაწარმს. ისინი გაცილებით იაფია შალზე და სილამაზით არ ჩამოუვარდებიან შალს.

საწარმოს მუშაობის პირველი დღეებიდანვე დიდ დახმარებას უწევს თბილისის მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სადაც შექმნილია უჭსოვი მასალების სპეციალური ლაბორატორია. ინსტიტუტის თანამშრომელთა დახმარებით შეიქმნა შალნარევი ჭსოვილი „კრწანისი“ ბამბეულის ჭსოვილი „ლალიბაგა“ და „ხათუნა“, მუშავდება ზოგიერთი ახალი ნიმუში.

ფაბრიკის ტერიტორიაზე ფართოდ მიმდინარეობს მშენებლობა, აშენდა ახალი საწარმო კორპუსები. უკვე აღიმართა საჭსოვ-საკერავი, სამღებრო-გამოსაყვანი საამქროები, რომლებიც აღჭურვილია საბჭოური და საზღვარგარეთული მოწყობილობით. მშენებლობის პროცესშია სასაწყობო შენობები, კლუბი, სასადილო, ადმინისტრაციული კორპუსი.

ფაბრიკის დირექტორმა მიხეილ მგალობლიშვილმა თქვა:

— ჩვენი ფაბრიკა რენტაბელური გახდა მუშაობის პირველი დღეებიდანვე. მარტო წლინახევრის განმავლობაში სახელმწიფოს მივეცით ნახევარი მილიონი მანეთი მოგება. ახალი წარმოების ათვისების რთულ საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ოსტატის თანაშემწემ ოთარ ზამთარაძემ, მთავარმა ინჟინერმა ნოდარ პაიჭაძემ, უბნის უფროსმა გურამ სვანიძემ, მჭსოველებმა ქეთევან მეკოჟიშვილმა, ტატიანა საკოვცმა, ევგენია ოსიპოვამ და ბევრმა სხვამ.

უჭსოვი მასალების წარმოების განვითარება მხოლოდ ახლა ინერგება ჩვენს ქვეყანაში. თბილისის ფაბრიკა ძალებს იკრებს, აფართოებს ასორტიმენტს. ორი-სამი წლის შემდეგ იგი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთერთი უდიდესი საწარმო იქნება.

მეცნიერთა ლაბორატორიებში

კოსმეტიკური საშუალებანი მცენარისაგან

საქართველოში ხარობს 4.500-ზე მეტი სახეობის სხვადასხვანაირი მცენარე. ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის სამედიცინო და კოსმეტიკური მრეწველობის ჩინებული ნედლეულია. მცენარის ნაყოფიდან, თესლიდან, ღეროდან და ფოთლიდან შეიძლება მივიღოთ ძვირფასი ბუნებრივი პრეპარატები — სხვადასხვა ვიტამინი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი. მათ გამოვლენაზე, გამოცდასა და ჩვენი ქვეყნის კოსმეტიკურ მრეწველობაში გამოყენებაზე მუშაობენ საქართველოს სსრ კპშ-ის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ერთ-ერთი ლაბორატორიის მუშაკები, რომელსაც სათავეში უდგას ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. მ. გრძელიძე.

ქრისტესისხლას ლოსიონი

გარეულ მცენარეს ქრისტესისხლას საოცარი თვისებები აღმოაჩნდა. მისი დახმარებით სწრაფად შეიძლება მოვაცილოთ სახიდან ჭორფლი, ფერმკრთალები და მეჭეჭები. ამ მცენარისაგან მზადდება განსაკუთრებული ექსტრაქტი, რომლის მცენარიდან მიღების ტექნოლოგია ქართველმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს. ახლა ლენინგრადის პარფიუმერიის ფაბრიკა „განთიადი“ სწორედ ამ ტექნოლოგიით უშვებს ახალი კრემებისა და ლოსიონების საცდელ პარტიას.

ჭიპწის ზეთი

სხვადასხვანაირი მალამოს და კრემის დასამზადებლად გამოყენებული ეთერზეთების მიღება შეიძლება ყურძნის წიპწიდან. ქიმიური ხერხით მიღებული ზეთებისაგან განსხვავებით ეს ეთერზეთები უხვად შეიცავენ ვიტამინებს, რომლებიც კანს იცავენ უდროო დაბერებისაგან. ლენინგრადის კოსმეტიკურ ფაბრიკა „განთიადს“ უკვე გაეგზავნა წიპწისაგან დამზადებული ეთერზეთის პირველი პარტია.

კრემი და მალამო პატარებისათვის

გალახოვან მცენარეს — ფარსმანდუკს საუკუნეთა განმავლობაში იყენებდა ხალხური მედიცინა ჭრილობების სამკურნალოდ და სისხლის შესაჩერებლად. ცნობილია, რომ დიმიტრი დონელის შვილიშვილი ანუელებისაგან (სისხლდენისაგან) ფარსმანდუკის წყენით განუკურნავთ. ახლა ამ მცენარეს ახალი დანიშნულება გამოუნახეს.

კვების მრეწველობის ინსტიტუტის მუშაკებმა გამოარკვიეს, რომ ფარსმანდუკის ყვავილებიდან მიიღება ეთერზეთი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს. იგი გამოიყენება საბავშვო კრემისა და მალამოს დამზადების დროს. მოსკოვის პარფიუმერიის ფაბრიკა „თავისუფლებაში“ უნდა გამოუშვან ახალი საბავშვო კრემის საცდელი პარტია.

ჩაის პრეპარატი ინის ნაცვლად

ყოველწლიურ შამპუნს, „გამასა“ და თმაზე ინას ღირსეულად შეცვლის ჩაის თესლისაგან მიღებული ახალი პრეპარატი. ინსტიტუტში შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა თესლისაგან მიიღონ პრეპარატი —საპონინი, იგი გამოირჩევა მაღალი ბიოლოგიური აქტივობით და ვიტამინ „P“ დიდი შემცველობით. საპონინი ფორების გამაფართოებელი ჩინებული საშუალებაა. ახალი ნივთიერებით შეგვიძლია სწრაფად და დიდი ხნით შეგიფიბოთ თმა, მივცეთ მას ყოველწლიური ფერი. საპონინი გამოდგება აგრეთვე თმის შემარბილებელი სურნელოვანი სითხეების დასამზადებლად.

ახალი საღებარი პრეპარატის საცდელი პარტია გამოუშვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების საპარფიუმერო საწარმომ.

მიღებულია 800 შეკვეთა

თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“ პროდუქციაზე ჯერ არასდროს არ ყოფილა ასეთი დიდი მოთხოვნილება, როგორც წელსაა. მოტორები პირდაპირ კონვეირებიდან ეგზავნებათ შემკვეთებს.

ქარხანა ახლა თავის პროდუქციას უგზავნის ჩვენი ქვეყნის 800 სამშენებლო ორგანიზაციასა და სამრეწველო საწარმოს, აგრეთვე ინდოეთს, ავღანეთს, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, კუბას, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს.

წელს ქარხანამ პროდუქციის რეალიზაციით მიიღო 400 ათას მანეთზე მეტი მოგება. არის მოგების გადიდების შესაძლებლობანი. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თითოეულ ძრავაზე დაზოგოს 20 კილოგრამი ლითონი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარხანამ წლის ბოლომდე უნდა გამოუშვას 20 ათასი ელექტრომოტორი, ეს დაზოგვა საგრძნობი იქნება. გარდა ამისა, ელექტროტექნიკოსები აღწევენ ერთი პროცენტით შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ეს არის ათობით ზეგეგმითი ძრავა, დაზოგილი ათასობით მანეთი.

ხუთწლედის დამლევს „ელექტროძრავამ“ უნდა გააორკეცოს პროდუქციის გამოშვება, მოაგვაროს ახალი მოტორების წარმოება. მიმდინარე წლის შედეგები ცხადყოფენ, რომ ეს ამოცანები სავსებით რეალურია.

ფლორის საგანძური

თბილისის ბოტანიკურ ბაღში ხარობს ფოთოლმცვენი წიწვოვანი მცენარე — მეტასეკვოია. იგი ერთერთი იმ იშვიათი მცენარეთაგანია, რომლებმაც აქ მეორე სამშობლო პოვეს. თბილისის ბოტანიკურ ბაღში ასობით ეგზოტია, რომელთა სამშობლოა ინდოეთი, იავა, მალაიას კუნძულები, ახალი ზელანდია, გვინეა, სამხრეთი ამერიკა და სხვა ქვეყნები. ბიოლოგები, ბოტანიკოსები, მეტყევეები, აგროტექნიკოსები, სხვა სპეციალისტები ოთხი ათასი სახეობის ხეს, ბუჩქს უვლიან, ბაღის მრავალი დამთვალიერებელი დიდი ინტერესით ეცნობა უმდიდრეს მცენარეულობას, რომლებიც დაცულია გეოგრაფიულ ნაკვეთებში „კავკასიის ცოცხალი ფლორა“, „აღმოსავლეთი ამერიკა-ასია“, „დასავლეთი საქართველო“, „ხმელთაშუა ზღვისპირული“, „ჰიმალაიური“, „ჩრდილოამერიკული“ და სხვ. ფართოდ არის წარმოდგენილი ხეხილის ნარგავები — 120-ზე მეტი ჯიში, აგრეთვე ათობით ვაზის აბორიგენული ჯიში.

ორანჟერეაში ყვავის ათასამდე სახეობის ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე. აი პატარა ნაზ და ოვალურ ფოთლებიანი მცენარე, რომელსაც „ტელეგრაფი“ ეწოდება. აქვეა პანდუნუსის უზარმაზარი, ოთხ მეტრამდე სიგრძის ლანცეტისებური ფოთლები. პანდუნუსს მძლავრი ფესვები აქვს. მათ შეუძლიათ გაარღვიონ ხის კასრის სქელი კედლები. საინტერესოა აგრეთვე „ცოცხლადმშობი გვიმრა“. მის ფოთლებზე ახალი გვიმრა ვითარდება ფესვებითა და ფოთლებით. ასე იზრდება გვიმრა გვიმრაზე. აქ არის ყავის შოკოლადისა და ქინაქინის ხეები, სხვადასხვა ჯიშის პალმები, აფრიკული ია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ყვავის, და შესანიშნავი კაქტუსი „ღამის დედოფალი“, რომელიც მხოლოდ ერთ ღამეს ყვავის... მაინც რა მცენარეებს არ ნახავ ამ შესანიშნავ ბაღში.

დიდ მუშაობას ეწევიან სამი სამეცნიერო განყოფილების მცენარეთა ინტროდუქციისა და სელექციის, დეკორაციული მებაღეობისა და მეყვავილეობის, პარკგაშენებისა და ლანდშაფტური მებაღეობის განყოფილებათა თანამშრომლები. არის სპეციალური ნაკვეთსეკტორებიც, სადაც მუშაობენ გამწვანებისა და მცენარეთა დაცვის საკითხებზე.

ასობით სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის ხე, ყვავილი და ბუჩქი გადასცეს ბოტანიკური ბაღის მუშაკებმა თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და კურორტების გასამწვანებლად.

მერქნიანი კულტურების, ყვავილოვანი მცენარეების ასორტიმენტი განუწყვეტლივ ფართოვდება. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ბაღის ტერიტორიაზე დათესილია სხვადასხვა მცენარის ათას ხუთასზე მეტი თესლი, ამ მცენარეთა უმრავლესობა აქ პირველად გაჩნდა.

თბილისის ბოტანიკური ბაღის კოლექტივს საქმიანი კონტაქტები აქვს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებთან და ბოტანიკურ ბაღებთან.

მეხიკოში — კონფერენციაზე

მეხიკოში იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. ფ. დავითაია. საბჭოთა მეცნიერების ჯგუფთან ერთად იგი მონაწილეობდა ლათინური ამერიკის ქვეყნების ბუნებრივი რესურსების შესწავლისა და რაციონალურად გამოყენების საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც მოიწვიეს მსოფლიოს გეოგრაფთა კავშირის გადაწყვეტილებით.

თ. ფ. დავითაიამ კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება, რომელიც მან მიუძღვნა ლათინური ამერიკის ქვეყნების კლიმატური რესურსების გამოკვლევის მეთოდიკას. მოხსენებაში მოცემულია იმ კვლევის შედეგები, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა აწარმოეს კუბელ კოლეგებთან ერთად, 1965 წელს კუბაში ყოფნის დროს. ამ ერთობლივმა მეცნიერულმა ნაშრომმა შესაძლებელი გახადა აღმოეჩინათ კუბის ტერიტორიაზე სითბოსა და ტენის განაწილების მთელი რიგი ახალი კანონზომიერებანი. მიღებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც კუბელ სპეციალისტებს საშუალებას მისცემს მნიშვნელოვნად გააფართოონ ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოება.

კუბაში გამოყენებითი კლიმატოლოგიის იმ მეთოდების განხორციელების გამოცდილების განზოგადებას, რომლებიც შემუშავებულია სსრ კავშირში, პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისათვისაც.

ქარხნები... უკედლოდ

თელავისა და ბაბუშერის ჩრდილიან კორომებში დაიწყო ახალი ეთერზეთოვანი ქარხნების მშენებლობა. ამ ნაგებობათა პროექტი შეიმუშავეს საქართველოს კვების მრეწველობის საპროექტო ინსტიტუტში. აღსანიშნავია, რომ ქარხნის ნაგებობანი შენდება უკედლოდ. ეს დაკავშირებულია რესპუბლიკის კლიმატურ პირობებთან და საწარმოს მუშაობის სეზონურობასთან.

ეთეროვანი ზეთების წარმოება მშენებარე ქარხნებში სავსებით მექანიზებული იქნება. აქ დადგამენ განუწყვეტელი მოქმედების აპარატებს, რომლებიც შექმნილია ინჟინერ ს. ფალავანდიშვილის კონსტრუქციით. ეს დიდად გაზრდის მწარმოებლობას და შეამცირებს მძიმე ხელის შრომას. საკმარისია ვთქვათ, რომ ერთი ასეთი აპარატი ცვლის 10 პერიოდულად მოქმედ ქვაბს. ინჟინერ ს. ფალავანდიშვილის გამოგონებას წარმატებით იყენებენ სომხეთსა და შუა აზიის რესპუბლიკების საწარმოებში.

თელავის ქარხანა გამოუშვებს დაახლოებით 7.000 კილოგრამ ძვირფას ნედლეულს ჩვენი ქვეყნის საპარფიუმერიო და კოსმეტიკის მრეწველობისათვის. ამ ნედლეულს მიიღებს აგრეთვე აბაშის ეთერზეთოვანი ქარხანა, რომლის პროდუქცია ფართოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და კუბაში.

უკვე წელს საქართველოს ეთერზეთოვანი მრეწველობის საწარმოები ჩვენს ქვეყანას მისცემენ 60.000 კილოგრამზე მეტ სხვადასხვა ეთეროვან ზეთს.

მარანი კლდეში

ბათუმი. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციამ ქედის რაიონის მთის სოფელ მახუნცეთის მიდამოებში აღმოაჩინა საინტერესო ძეგლი — კლდეში გამოკვეთილი საწნეხელი, რომელიც თავისებურ მარანს წარმოადგენს. იგი შედგება 2,5 კუბურ მეტრზე მეტი ტევადობის ორი ოთხწახნაგიანი ჭურჭლისაგან. ისინი ერთმანეთისადმი დახრილად არიან განლაგებული და ერთმანეთს უერთდებიან ქვისგანვე გამოკვეთილი მილით. კლდის ორივე მხარეს ამოჭრილია საფეხურები.

საწნეხელი მეტად საინტერესოა ძველი საქართველოს სამხრეთი რაიონების მევენახეობის ისტორიის შესწავლისათვის. ისტორიკოსები და არქეოლოგები ამ ძეგლს მიაკუთვნებენ ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებს.

ორი ჩანახატი მხატვრის ალბომიდან



თბილისი, სანაპიროზე.



მთაწმინდის პანთეონში, ილიას საფლავთან.

№ 6/85.

ეს საინტერესოა

პამირი ხალხთა სამშობლოა

ადამიანმა ჯერ კიდევ თავისი ისტორიის გარიჟრაჟზე აითვისა პამირის მაღალი მთის პლატოები. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ პამირი აზიის მეზობელ მთის ქვეყნებთან ერთად იყო ერთ-ერთი ცენტრი, სადაც ჰომინიზაციის ანთროპოიდული მაიმუნის „გაადამიანების“ ინტენსიური პროცესი, იმ ტომებისა და ხალხების თავისებური „ქვაბი“, რომლებიც შემდეგ დასახლდნენ აზიის უზარმაზარ მატერიკზე.

ასეთი ჰიპოთეზა წამოაყენეს ტაჯიკეთის მეცნიერებმა, არქეოლოგებმა ვ. ა. რანოვმა და პალეოგეოგრაფმა ლ. ფ. სიდოროვმა, რომლებმაც შეკრიბეს და განაზოგადეს უზარმაზარი და უნიკალური ფაქტიური მასალა პამირის ბუნების განვითარების, როგორც ადამიანის არსებობის გარემოს შესახებ. მათი საპრობლემო ნაშრომი გამოქვეყნებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული კრებულის „სტრანი ი ნაროდი ვოსტოკა“ უკანასკნელ გამოცემაში.

ეს ჰიპოთეზა ერთი შეხედვით შეიძლება ნაკლებად სარწმუნოდ მოგვეჩვენოს, რადგან ხეობებიც კი აქ მდებარეობენ ზღვის დონიდან ოთხნახევარ ათას მეტრამდე სიმაღლეზე, მარადიული ყინულების მეზობლად. წლის უყინვო პერიოდები ბევრ მათგანში საერთოდ არ არის, ხოლო მცენარეულობა ისეთი იშვიათია, რომ ყველაზე პატარა მოთხოვნილების ცხოველებიც კი ძნელად პოულობენ საკვებს. როგორღა შეეძლო პირველყოფილ ადამიანს, უსუსურს ბუნების წინაშე, ეარსებნა ესოდენ ველურ მხარეში?

ეს დასკვნები უარყო ვ. ა. რანოვის კვლევამ. მან აღმოაჩინა და პირველმა შეისწავლა ქვის საუკუნის მთელი რიგი საინტერესო სადგომები, რომელთა ასაკი 10 ათას წელს აღემატება. ერთ-ერთი მათგანი მდებარეობს მარკანსუს უდაბნოში ზღვის დონიდან 4.200 მეტრ სიმაღლეზე, ადგილას, რომელიც ამჟამად სავსებით უვარგისია საცხოვრებლად. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი განსაკუთრებით დასახლებული იყო და დიდხანს არსებობდა. კოლექცია, რომელიც მეცნიერმა მსოფლიოში ყველაზე მაღალი მთის სადგომში შეაგროვა, აღემატება 10 ათას საგანს. ნაკლებად საინტერესო როდია მღვიმის კედლების მოხატულობანი მურღადის მახლობლად. პირველყოფილ მხატვარს აქ წარმოუსახავს ამჟამად პამირისათვის ისეთი უცნობი ცხოველები, როგორიცაა ტახი და... სირაქლემა.

საინტერესოა, რომ პამირის ისტორიამდელ „მთიელთა“ კულტურას ბევრი საერთო აქვს ტიანშანის, კუენლუნის, ჰიმალაის, ტიბეტის ქვის საუკუნის კულტურასთან. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა მეცნიერების კვლევას პამირში შეიძლება ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის წარმოშობის, განვითარებისა და ადრეული ისტორიის კარდინალური საკითხების შესწავლისათვის აზიის მთელი კონტინენტის ფარგლებში.

იშვიათი კოლექცია

ამ სიმღერებმა მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს მუსიკალურ სამყაროში. თითოეულ მათგანს პასპორტიც კი აქვს, საიდანაც შეიძლება შევიტყოთ სად და როდის დაბადებულა ან რა ხასიათისაა ეს სიმღერა, ასეთი პასპორტები, რომლებიც თავისებური ცხოვრების საგზურია, მიიღო ორასმა ძველებურმა მელოდიამ და სიმღერამ, რომლებიც მოლდაველებმა და ბულგარელებმა შექმნეს. ეს იშვიათი კოლექცია კიშინიოვის სახალხო შემოქმედების სახლს გადასცა კომპოზიტორმა ნიკოლოზ კიოსამ.

ნ. კიოსა მუსიკალური ფოლკლორის დიდი მოყვარული და მცოდნეა. ფოლკლორის მოგროვებას იგი თითქმის მთელ თავისუფალ დროს ანდომებს. სპეციალისტთა აზრით, მისი ახალი ფონოთეკა — „ბუჯაკის სიმღერები“ — უნიკალურია. აქ შეტანილია იმ ვოკალურ და ინსტრუმენტულ ნაწარმოებთა მაგნიტოფონის ჩანაწერები და ნოტების გაშიფვრა, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ ახასიათებენ ამ ხალხთა ძველ მუსიკალურ კულტურას. აქ შენარჩუნებულია სხვადასხვა საცეკვაო მელოდიების, ლირიკული, საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო და ისტორიული სიმღერების ორიგინალური ჟღერადობა. ისტორიულ სიმღერებს შორის კომპოზიტორს ყველაზე უფრო უყვარს ეგრეთწოდებული „პლევნის ციკლი“ — მეგობრობის სიმღერები.

„რუსთაველი“, „ფოთი“, „თბილისი“, „კოლხეთი“, „რუსლანი“ — საქართველოს ახალგაზრდა საოკეანო ფლოტის ტრალერების სახელწოდებანია. მალე მათ შეემატებათ კიდევ ერთი გემი „მცხეთა“, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ააშენეს.

საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა გ. ყარანგოზიშვილმა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ ახალი ტრალერი თევზის საჭერად ამ დღეებში გავა კალინინგრადიდან ოკეანეში. მის საყინავ კამერებს შეუძლიათ ერთბაშად გაყინონ 450 ცენტნერი თევზი. გემი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

ახლა რესპუბლიკის საოკეანო ფლოტი ჩვენს ქვეყანას ყოველწლიურად აძლევს 300 ათას ცენტნერ თევზს, სწრაფად იზრდება ფლოტი, რომელიც ძირითადად შვიდწლედის მანძილზე შეიქმნა. ხუთწლედში მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსათვის ააგებს კიდევ რამდენიმე ტრალერს. მათ ექნებათ უფრო ტევადი საყინავი კამერები. თევზჭერა ოკეანეებში თითქმის 4,5-ჯერ გაიზრდება.

ყოველი მეოთხე ტრალერი, რომლებიც ამჟამად ნაოსნობაშია, გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.


ხოლო „რუსთაველის“ ეკიპაჟმა, რომელიც ჯერ ჯერობით ზღვაში ვერ გავიდა რემონტის გამო, ვალდებულება იკისრა შეასრულოს წლიური გეგმა ასრულებენ დავალებას. და გეგმის გადამეტებით მათ უკვე დაიჭირეს 160 ათასი ცენტნერი თევზი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 155 ათასი ცენტნერისა.

„მცხეთა“ ოკეანეში გაღის

ქართული ჩაი — პოლონეთში

ბათუმი. ამ დღეებში ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გაგზავნა 60 ტონა სურნელოვანი ქართული ჩაი, რომელიც დამზადებულია 1966 წლის მოსავლისაგან. შავი ბაიხაო ჩაის პირველი დიდი პარტია ამ მისამართით გაგზავნეს სალიბაურის, ჩაქვის, ქობულეთისა და სხვა ჩაის ფაბრიკებმა. გრძელდება პოლონეთისათვის მზა პროდუქციის გაგზავნა.

განუწყვეტლივ იზრდება სახალხო პოლონეთში მოთხოვნა ქართულ ჩაიზე. წელს აჭარის ჩაის მრეწველობის მუშაკები პოლონელ მეგობრებს გაუგზავნიან 800 ტონაზე მეტ სურნელოვან ქართულ ჩაის—ერთიორად მეტს, ვიდრე შარშან.



მდინარე კეხვის სარწყავი არხის სათავე ნაგებობა.



მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ᲕᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲐ:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.